კვირა, 21 ივნისი. ფასი 10 კაპ.

# მათრახი და სალამური

№ 3

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი



## ქართული ქველ-მოქმედება.

**ბატონი** B. შეეწიეთ ორიოდ გროში ქართულ კაპიტალისტთა გასამრავლებლათ.

**მუშა.** როგორ, განა მე უნდა ვცდილობდე მათ გამრავლებას?

**ბატონი** B. ყველა ქართველის მოვალეობაა დაიცვას თავისი ეროვნება და ტერიტორია.

**მუშა.** არა ერთი მითხარი, ეს სადაური ტაქტიკაა, მუშა ხალხმა შეჰქმნას ბურჟუაზია თავისი თავისავე საყვლეფათ?

**ბატონი** B. საქმე მეგობარო ეროვნებაა... ბურჟუაზია ერის ქირისუფალი და მისი სასიცოცხლო ძალაა.

**მუშა.** მაშ სოციალიზმისათვის ბრძოლა სისულელე ყოფილა და დანაშაულობა ჩაგვიდენია?

**ბატონი** B. რასაკვირველია... ყველა შეგნებულმა ადამიანმა იცის, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლა ხეირს არავის მისცემს და რასაკვირველია არც ჩვენს მუშებს თუ კაპიტალისტებს გაამდიდრებს.

**მუშა.** კარგი, წაიღე ეს ორი გროში, დღევანდელ დღეს მშიერი დავალამებ, მაგრამ არა მგონია ჩვენებური კაპიტალისტების გამრავლებით საქართველო აყვავდეს და ჩვენი ცხოვრება გაუმჯობესდეს.

**ბატონი** B. იმე!!! თუ არ დამიჯერებ, რასაკვირველია ვერ გაიგებ. მე ვუბნობ, რომ თუ ჩვენი ყოველი საცდელი არ ვსცადეთ, ჩვენი ყოველგვარი ღონისძიება არ ვიღონეთ და ქართულ ტერიტორიაზე ქართული კაპიტალისტები არ აღმოვაცენეთ, სამშობლოს, ანუ ჩვენს ეროვნებას უცილო განსაცდელი მოელის. ეს უნდა დამიჯერო მე.

**მუშა.** წინეთ მე კურთხეულის შვილო კნიაზები აშენებდენ ჩვენ...

**ბატონი** B. რა სათქმელია, კეთილ-შობილმა წოდებამ უღალატა საერო საქმეს, ისინი თავის მამულებს, რაიცა იგივე და იგი ქართული ტერიტორიაა უცხო ეროვნების ტომებზე ყიდიან. არა, ჩვენ მხოლოდ ქართული კაპიტალი გვიხსნის.

**მუშა.** სამშობლოც კაი საქმეა, მარა ერთიორი დღე რომ გამუშავა ქართველ კაპიტალთან, მაშინ გაიგებდით როგორი აყვავება შეუძლია იმათ. ტყავში ისე ამოგიღებენ, ისე მუხრუჭებს მოგიჭერენ, სული ველარ მოითქვა და თუ მე მომსპობს, მე რიღასთვის ან რიღათი შევეწიო მას?

**ბატონი** B. კიდევ ვერ გაგაგებინე. საქმე ეროვნება და ეროვნული მიზანია. ჩვენგან მამულის კეთილდღეობა მსხვერპლს თხოულობს, მსხვერპლს.

**მუშა.** ჰმ! აქაც ჩვენ უნდა შევეწიროთ!!!

# ოცნება „პუბლიცისტისა."

ახალგაზრდა ქართველი პუბლიცისტი მიხეილ ქარიანიძე, ანუ მეტ სახელად „წერეგძელი", ძლიერ დაქანცული დაბრუნდა ყოველ დღიური გაზეთი „შუბის" რედაქციიდან.

არც გასაკვირია ასეთი მისი დაქანცულობა!!!

მიხეილ ქარიანიძე აგერ რამდენი ხანია პუბლიცისტობს ქართულ მწერლობაში, უხვათ იმ-რობს თუ იწურავს ოფლსა და ცრემლებს, მაგრამ ჯერჯერობით თავისი მწერლობის ვერავითარ ნაყოფს ვერ ხედავს გარდა, რასაკვირველია, გაჭრელებული ქაღალდის გვერდებისა. სულ ახლო წარსულში ბ-ნი ქარიანიძე კომუნიზმის სამთავროში ითვლებოდა ბატონ პატრონათ და იქიდან მრისხანე მედიდურებით ქარიშხალს უვლენდა ქვეყნიერებას; მაგრამ მისმა ცვალებადმა აზრებმა ჩქარა მიატოვეს ამაყი სიმაგრე და ქარიანიძე, როგორც მთის მწვერვალიდან მოწყვეტილი ნიავი, დაბლა-დაბლა დაეშვა. დღეს მისი ცხელი ოცნება, მთის ძირამდე დაწვა და იქ დამყაყებული ჭაობის „ტალღებს" ენავარდება.

მაგრამ დაქანცულობის მიზეზი არ ყოფილა ქარიანიძის მწვერვალიდან ჭაობისაკენ მოგზაურობა. დაბლა დაშვება არ თხოულობს საზოგადოთ დიდ ენერგიას. იმან ეს-ეს არის დაასრულა თავისი გრძელი ფელეტონის მესამე „გაგრძელება" და დაწერისათანავე ისიც გამოანგარიშა თუ რამდენ პწკარს გასწვდებოდა ეს მისი ნაჭირნახულევი.

მოსვლისათანავე მიხეილი მოწყვეტით დაეშვა დერეფნის კუთხეში მიდგმულ ტახტზე და კარგა ხანს მდუმარეთ მყოფი, ბოლოს გადაიტაცა ოცნების მსუბუქ ტალღების მწყობრმა მიმდინარეობამ.

— ღმერთო ჩემო! რა მშვენიერებაა, რა ბედნიერებაა! აღტაცებით წარმოსთქვა ქარიანიძემ და მელნით შეღებილი მარჯვენა ხელის თითები შუბლზე გადაივლო.

— ახლა კი შემიძლია თამამათ ვსთქვა, რომ ჩვენი ეროვნების საძირკველი მკვიდრს და შეურყეველ ნიადაგზე დადგა! ღმერთო ჩემო! რა ბედნიერებაა, როცა ხედავ და გრძნობ, რომ მომავლის კეთილ-დღეობა შენი ნაჩვენები გზით, შენის რჩევითა და დახმარებით მიდის სასურველი მყობადისაკენ! არა, ერთი გადახედოს კაცმა ამ ფაბრიკა-ქარხნებს, ამ მწვანე პლანტაციებს, ამ ჩარაზულ გემებს!

ის დიდხანს გაშტერებით გასცქეროდა კვამლისაგან გამურულ რკინისა და აგურის მილებს, რომლებიც თითქო ცას მიბჯენოდენ თავისი მწვერვალებით და შავი პირიდან ამონადენ კვამლის ბურთებს ზეცის ღრუბლებს უერთებდენ.

— ერთი შეხედეთ ღვთის გულისათვით, დააცქერდით ამ სანახაობას! შეხედეთ როგორ ბერ-მონაზვნებივით ჩამწკრივებულან ეს ბუმბარაზები, როგორ ნაზათ გუგუნებენ, თითქო მამულის სადღეგრძელოთ ლოცულობენო; შეხედეთ და დასტკბით, შეხდით და დასტკბით!! შეხედეთ, როგორის მორიდებით უკმევენ უზენაესს ამ სოფლიურ საკმეველს როგორ შესციციან მის ლაჟვარდოვან ტახტს!

ქარიანიძე ღრმათ ჩაფიქრდა.

— მერმე იცით ვის ეკუთვნის ყოველივე ეს? იცით ვის მიწა-წყალზეა დამკვიდრებული, ვის კეთილდღეობას უნდა ემსახუროს? არ იცით? ნუ თუ მართლა არ იცით?!! თქვენ კიდევაც იცინით? რა არის აქ საცინელი? მაშ იცოდეთ, რომ ყოველივე ეს მე,მე მიხელ ქარიანიძეს მეკუთვნის. იცოდეთ რომ ამისი გამგე, ამის პატრონი და მობედისწერე მევარ მე, ქართველი, ქართველი კაცი, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები! ეს ყველამ უნდა იცოდეთ, გესმისთ, ყველამ უნდა გაიგონოთ ყველამ, მთელმა ქვეყანამ...

ქარიანიძე კიდევ კარგა ხანს, მაგრამ მდუმარეთ გადასცქეროდა თვალ უწვდენ სივრცეს თავისი ქარხნებისას. სტკბებოდა მისი განუწყვეტელი ქშენა-გუგუნით, ეალერსებოდა შავი კვამლის ბურთებს, დაყუდებულ მილების სისწორეს, ზღვის ტალღებზე მოქანავე გემებს, მწვანეთ მობიბინე პლანტაციებს. ეალერსებოდა და სტკბებოდა. მას უკვირდა ის საუცხოვო შეგნება ქართველი მუშებისა, რომლებიც დღიან-ღამიანათ ოფლს ღვრიდენ ქარხნების ქვაფენილზე, იხარშებოდენ მის ჯოჯოხეთურ სიცხეში, სულს იხუთავდენ მისი დახშული და მოწამლული ჰაერით, მაგრამ მაინც უსიტყვოთ და მორჩილებით ასრულებდენ ყოველაფერს, რასაკვირველია იმ რწმენით გამსჭვალულნი, რომ ემსახურებიან საერო საქმეს, რომ ამდიდრებენ ქართველ მწარმოებელს სამშობლოს გადასარჩენ-საკეთილდღეოთ.

დიდი ხანია ჩვენს პუბლიცისტს არ განუცდია ასეთი სულიერი სიტკბოება, ასეთი აუწერელი სიამოვნება და კიდევ დიდხანს იქნებოდა ამ ყოფაში, რომ ზარის მოულოდნელ წკრიალს არ დაერღვია მისი მყუდროება. სწრაფად მოტრიალდა ის და კაბინეტის მწვანე სტოლს მიუჯდა. მსახურს უკვე დაეწყო სტოლზე ფოსტალიონისაგან მოტანილი რამდენიმე ბარათი და ჟურნალ-გაზეთები. მიხეილმა მოკრძალებით გახსნა ერთი მათგანი და რაკი ახლოს არავინ იყო ხმა-მაღლა ჩაიკითხა:

**„ფრიად პატივცემულო მიხეილ სილოვანის-ძევ!**

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ თავისს უკანასკნელ კრებაზე დაადგინა:

ა) ჩაგრიცხოს თქვენ საზოგადოების საპატიო წევრათ.

ბ) ამასთანავე გთხოვოს, რომ დაეხმაროთ მას ნივთიერად, რამდენიც საჭირო იქნება იმ ძველი ხელთ-ნაწერების შესაძენათ, რომელიც აღმოაჩინეს ერთ-ერთ სპარსელი მეხილის დუქანში.

დ) გეთხოვოს აგრეთვე, რომ თუ მოსახერხებლათ სცნობთ დაუთმოთ საზოგადოებას წიგნის მაღაზიისათვის ორიოდ ოთახი თქვენი ქარვასლისა, ვიდრე საზოგადოება საკუთარ შენობას აიგებდეს.

გამგეობას სრული იმედი აქვს: თქვენს ქველმოქმედ ყუ-

რადღებას მიაქცევთ ამ საქვეყნო, საერო საქმეზე და სამშობლოს სამსახურისათვის არ შეუშინდებით მცირეოდენ ხარჯს.

მდივანი გამგეობისა იასონ კიტრაძე.

ტფილისი. 1909 წ. 18 ივნისი.»

— საკვირველია ღმერთმანი! ნაღვლიანათ ჩაილაპარაკა მიხეილმა და წერილი იქით მიაგდო.

— ნუ თუ ვერ გაიგეს ამ დალოცვილებმა, რომ არარაფერი გამაჩნია. თუ არ შეუძლიათ საქმის გაძღოლა ნეტავ ვინ ატანს ძალას? ნუ თუ მუდამ სამოწყალოთ უნდა დარჩენ, მუდამ უნდა იმათხოვრონ, მართალი სთქვა ვინაც სთქვა „აღსრულდა.“ ჩვენს საქმეს ვერაფერი ვერ უშველის. მან აკანკალებული ხელით მოხია მეორე კონვერტს თავი და ცოტა დაბალი ხმით დაიწყო:

**„ღირსეულო მიხეილ სილოვანისძევ!**

ვიცით სხვაც ბევრი გაწუხებით, ბევრი საზოგადო მოთხოვნილება გაქვთ, **но осмѣливаюсь обезпокоить Васъ** შემდეგი თხოვნით:

თქვენს განათლებულ გონებას რადა ჩემი ლაპარაკი უნდა, მაგრამ გთხოვთ მაინც მიაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებას: საქმე იმაშია ბ.ნო მიხაილ, რომ ჩვენს ხალხს არ გააჩნია ერთი რიგიანი გაზეთი. მართალია გამოდის ორიოდე ფურცელი, მაგრამ მეტის მეტათ უკიდურესი, ზოგი მარტო პროლეტარიატზე ამყარებს მთელს იმედებს, ზოგიც მარტო თავად აზნაურობაზე; მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენი ერის ხსნა წვრილ ბურჟუაზიაშია და მათი, ანუ უკვეთ ვსთქვათ, ჩემი აზრის გამომხატველი ორგანო ჩვენს ერს კეთილ დღეოის გზაზე დააყენებს.

თქვენ ბატონო მიხეილ ადვილათ შეგიძლიათ განკურნოთ ეს სატკივარი ჩვენი ეროვნებისა და მომცეთ საშვალება გამოვსცე ქართულ ენაზე სავაჭრო გაზეთი; იმედია მიცნობთ მე ამ საქმეში გამოცთილ პირათ და სრული ნდობის ღირსად. საქმის დასაწყებათ საკმარისი იქნება სულ რაღაც ათასიოდ თუმანი.

სრულის მორჩილებითა პატივისცემით პართენ ფლანგიაძე.

ტფილისი 1909 წ. 16 ივნისი“.

— აგიშენდა ოჯახი! ახლა მე მნახა სულელი. მსხვილ მწარმოებლებზე ეთქვა რამე კიდევ ჰო, კაცი რაღასაც იტყოდა, მაგრამ რაში მეკითხება მე წვრილი ბურჟუების გაზეთი ეს ველარ გამიგია. ალბათ დიდი ახირებული კაცი ვინმეა ეს ფლანგიაძე.

მიხეილმა ღონივნრათ დაკუმშა პართენის წერილი და სტოლის ქვეშ შეაგდო.

— ვინც მოგიტყუებია, ის მოატყუე! ჩაილაპარაკა ქარიანიძემ და ერთ გაქონილ ღია ბარათს დაუწყო თვალიერება:

„1909 წელსა ქრ. შემდეგ.

**კურთხეულო შვილო ეკლესიისა მიხეილ სილოვანისძევ!**

ჯღიბეთის წმინდა გიორგის ეკლესია აგერ რამდენი საუკუნეა ქამთა ვითარებისა გამო რომელიც რომ ეწვია მას უბედურობა. წყალმა აღელვებულმა ნიაღვარმა მას მოსტაცა ერთათ-ერთი წისქვილი. სახურავიც დაულპა და მესერიც შემოეძარცვა. საყვარელი სამწყროისა ჩემისა მრევლისა სახელით გთხოვთ რომ მოგვისპოთ უბედურობა.

მუდამ თქვენის სულისათვის მლოცველი ჯღიბეთის შტატის მღვდელი მამა სახიერი ნ ი კ ი ფ ო რ ე“

— ეს ღა მაკლდა სწორეთ! მწარე ღიმილით ჩაილაპარაკა ქარიანიძემ. ჯავრისაგან ერთი დაუსტვინა და წერილი სტოლის ქვეშ კალათში ჩააგდო.

კარგა ხანს დაფიქრებული იჯდა, მაგრამ ისევ გამოერკვა და სწრაფათ მოხია თავი ერთ მოზრდილ კონვერტს.

**„მოწყალევო ხელმწიფევ მიხაილ სილოვანისძევ!**

არა გვგონია თქვენი ღირსეული ყურადღება იმ ზიმ საჭირო იყოს რომელიმე ჩვენი საერო დაწესებულებისათვის, როგორც ეს საჭიროა ქართული დრამატიული საზოგადოებისათვის თქვენ უეჭველია მოგეხსენებათ ჩვენი ხალხის გულცივობა სცენისადმი, რაც მუდმივ დეფიციტს აძლევს დრამატიულ საზოგადოებას.

ამიტომ თქვენი პირდაპირი მოწოდებაა გამოხვიდეთ საერო საქმის მხსნელათ და მისცეთ ქართულ დასს საშვალება არსებობისა, ჩვენი საერო სცენის ფეხზე დასაყენებლათ საკმარისი იქნება სულ 800 თუმანი, რასაც მოუთმენლად მოელოდა თქვენგან ქართული ხელოვნების საქმე და მისი დაუღალავი მუშაკნი.

პატივისცემით ლევერიან მუნია.“

— Чудакъ! მე თითქო დაუსრულებელი ხაზინა მქონდეს. არა, სად გაგონილა თქვენი ღვთის გულისათვის ამდენი მათხოვრობა! ოჰ ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! მიხეილმა სწრაფად გადასტყორცნა წერილი სტოლის კუთხისკენ და ქართული გაზეთი გახსნა, მაგრამ ისევ ჩქარა მიაგდო და წერილებს დაუბრუნდა.

**„ბატონო მიხეილ!**

ვიცი რა თქვენი კეთილი გულის ამბავი, ვკადნიერდები და გთხოვთ: მომცეთ საშუალება ულრმესი მიღებისა სწავლისა. წელს გავათავე დვარიანიცკი გიმნაზია და როგორც ამბობენ ნიჭი უნდა მქონდეს. უთუოდ მექნება მგონი მიუხედავად, რომ მამა ჩემი და ყველა ჩემი ძმები ლოთები არიან. მე ჯერ კერძოთ არ დამთვრალვარ: თუ მისვამს ისიც მასწავლებელთან ერთად და თავდავიწყებადე შვიდიოჯერ.

ჩემს მშობლებს მამული თუმცა დიდი აქვთ, მაგრამ ხელ-გაშლით ცხოვრება უყვართ სულ ქეიფობენ და შემოსავალი თითონაც არა ყოფნით. იმედი მაქვს ჩემს ნიჭს არ ჩახშავთ ასე განუფურჩქვნელად და უსარგებლოთ

გათავებული მოსწავლე თავ. არჩილ გოგრიანიძე.“

— სწორეთ მომაბეზრეს თავი! ღმერთო ჩემო! სად წავიდე, სად დავემალო ამ აბეზარ ხალხს! ნუ თუ ბოლო არ უნდა მოეღოს ამდენ წამებას! აბა აბა ერთი ეს ვნახო:

აილო ლურჯი კანვერტი, რომლის კუნჭულზედ გამოხატულ მტრედის ნისკარტში პატარა კონვერტი ეჭირა და გახსნა.

**„ღირსო ბატონო მიხეილ სილოვანიჩ!**

ღრმათ დარწმუნებუი ვართ ვართ თქვენი თანამგრძნობა არ არის მოკლებული ქართველ დედათა საკითხისაკენ. მგოსანი აკაკიც სულ იმას ამბობს, რომ ქართველს ყავდეს დედა. ჩვენი სურვილიც ის არის რომელიც რომ გამოიხატება იმაში, რომ ჩვენ აღვზარდოთ მეოჯახე ქალწული დედები ჩვენი მამულის საკეთილდღეოთ. ამისათვის გთხოვთ პაჟალუსტა ცოტა ჩვენკენაც მოაბრუნოთ თქვენი უხვი ხელი და

ამით შეძლება მოგვცე დავაგვირგვინოთ დაწყებული საქმე. თუ თქვენისთანა მამულის ბურჯებმა ხელი არ გამოგვიწოდეს ჩვენი სკოლა უთუოდ დაიხურება.

დედათა ქალთა სკოლის გამგე კნ. დარეჯან კვახაძისა."

— **ჯაააანაბას თქვენი თავიც და სკოლაც! სწორეთ გამიშრეს სისხლი ამ შეჩვენებულებმა!**

ქარიანიძემ გადასწყვიტა დანარჩენი წერილები აღარ წაეკითხა, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ადამიანის ცნობის-მოყვარეობა. ბოლოს ისევე დამშვიდდა, აიღო და მაკრატლით წმინდათ მოჭკვეთა თავი ერთ მოზრდილ კონვერტს.

**„სასიქადულო მამულიშვილო მიხეილ!**

მრავალ-ჟამიერ იყოს და ღმერთმა ინებოს თქვენი სიცოცხლე ჩვენი ერის საკეთილდღეოთ. ქართველი ხალხის მუსიკა დიდი ხანია ელოდა მუშაკს, მაგრამ დღემდე ის არსად სჩანდა. ჩვენი საერო ხმების შეკრება, მისი დამუშავება და გამოცემა დიდ შრომასითხოვს.

ვიცი რა თქვენი სიუხვე და აგრეთვე საქმის სიდიადე, ამისთვის მოგმართავთ ასე თამამათ საჭირო დახმარებისთვის.

იმედი გვაქვს არ გაგვაწბილებთ.

ფილარმონიული საზოგადოების წევრი-ფარნაოზ ყროყინოვი.

— **არა უთუოთ დამაჭლექებენ ეს ოჯახ დაქცეულები. ლამის გავგიჟდე! ნეტა ვიცოდე რა ჰგონიათ. მიწვიმს ოქროები თუ რა ჯანაბაა! მწარე ოფლით ორიოდ გროშსა ვშოულობ და ყველას ჩემკენ უჭირავს თვალი!**

მიხეილმა **სწრაფათ** გახსნა შემდეგი კანვერტი:

**„ქართველ მწარმოებელს*) მიხეილ სილოვანისძეს.**

პატივცემულო გვამო! ჩვენი საზოგადოება კარგათ იცნობს თქვენს მოღვაწეობას და ამიტომ იმედი გვაქვს თქვენც თვალყურს ადევნებთ ჩვენი ცხოვრების მსვლელობის მიდრეკილების მიმართულებას. დღევანდელი ჩვენი ვითარება ფრიად ჩამოუვარდება ადრინდელ სიდიადეს ჩვენთა ძველთა მამა პაპათა.

ამისათვის ქართული საეტნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოების გამგეობა....."

— **Къ Чорту васъ всѣхъ! надоѣли и больше ничего!** ნუ თუ მამა პაპებსაც მე უნდა აუგო ძეგლები. არა ძმაო, მაგ ქკუით მე არ შემიძლია სიარული. თუ საშვალება არა გაქვთ ადექთი და დახურეთ თქვენი დუქანი.

მიხელ ქარიანიძე ღრმად აღელვებული სავარძელს გადააწვა, რომ ოცნებით გართულიყო და სევდა-მწუხარება გადაერეკა. მაგრამ უეცრად რაღაცამ საშინლად დასჭყივლა და ულვაშის გლეჯა დაუწყო.

პუბლიცისტმა თვალები გამოახილა. საბრალოს საშინელი ოფლი გადახეთქოდა და კისერში მიბჯენილ გახამებულ საყელოსაგან სულის თქმა შესუსტებოდა. ეზოდან შემოჭრილ პატარა გოგონას მძინარე მამა დაენახა და ჩვეულებისამებრ ულვაშებში ეტაცა პაწაწინა ხელები.

— **რა ცელქი და გიჟი რამა ხარ შე კუდიანო! წადი დედას დაუძახე.**

ბავშვი ჩიტივით გაფრინდა. მარტოთ დარჩენილმა მწერალმა თავისუფლად ამოისუნთქა და დიდ-მნიშვნელოვნად ჩაილაპარაკა.

— რა საზარელი სიზმარი ვნახე! ვერაფერი სახარბიელო ყოფილა ქართული კაპიტალისტობა, მა**გრამ ჩვენ თუ არ გეცადეთ ეთვლის დოსისძიებით ქართული კაპიტალის შექნას, ჩვენი ეროვნება განსაცდელშია**

**ეშმაკი.**

---

*) ამასთანავე გაცნობებთ, რომ წევრი ჩვენთა სიძველეთა ბ-ნი ზაქარია ჭრიჭინაძე იკვლევს თქვენ წინაპართა სავაჭრო-მრეწველურ მიდრეკილების განვითარებას ძველათ.

ს. არხიაძე.

## ს ა ტ რ ფ ო ს.

განთიადის მოლოდინში,
სერზე ვიდექ დილით ადრე,
მაგრამ, სატრფოვ, შენ არ მყავდი
იქ და ძლიერ მომენატრე!
მზის ნათელის სხივთა კონამ,
ჩვენს წინ ცისკრად დანახატმა,
გული თვისკენ წარმიტაცა,
როგორც რკინა-ანდამატმა:
მოელვარე მის ფარდაში
მე გარკვევით დავინახე
ცის ნათელით გაბადრული,
მშვენიერი შენი სახე!
დამავიწყდა განთიადი,
დამავიწყდა მზის სხივები
და ოცნებას, შენსკენ ფრთასხმულს,
ავედევნე, ჩამოვები...
მახსოვს, როგორ მოვახლოვდი,
გრძნობით მკერდზე დაგეკარი,
სინაზით და სიტკბოებით
ფრთებსა გვცემდა ჩვენ ცისკარი...
ამ ქვეყნიურს, ყოველივეს,
გავეცალე განვეშორე
და იდუმალ შენს სამეფოს
წამით თვალი გაუსწორე.
მაგრამ მეტად მწველი იყო
მისი ცეცხლი, მისი სხივი!
მომჭრა თვალი... დავბარბაცდი..
ამოიჭრა ქარი, ცივი,
ნისლთ ზვირთები მომაზვავა,
მის ბურუსში გამომხვია
და, კვლავ სერზე როგორ გავჩნდი,
თითქმის არც კი შემიტყვია!..
სადღა არის განთიადი?
სადღა არის ცისკრის ფრთები?
ნაცვლად ჩემს წინ ბურუსია
და ღრუბელის შავი მთები.
მე ფიქრთ ტყვე ვარ, შენ-ღრუბელთ ტყვე,
ჩვენს შუა სძევს დიდი ხრამი,
კვლავ გადმოვალ მას თუ—ვერა?
ეგ კითხვა მწვავს, როგორც შხამი!..

ნ. ზომლეთელი.



# ორი ეშმაკი.

**მეორე**. ეგ რასა კითხულობ უხილავთა უხილაოი?

**პირველი**. ბევრს რო გაიგებ ადრე დაბერდები.

**მეორე**. არა, ხუმრობას გარეშე ე რა გაზეთია.

**პირველი**. ვერა ხედავ შე კუდიანო რომ „რუსკოე სლოვო“ მიჭირავს?

**მეორე**. კიდევაც ეგ არის, რომ ვხედავ და მიკვირს.

**პირველი**. მერე რისთვის გიკვირს?

**მეორე**. ბევრს რო გაიგებ, ადრე დაბერდები...

**პირველი**. კარგი ერთი, ნუ ხუმრობ თუ ძმა ხარ, რისთვის გიკვირს ა?

**მეორე**. იმიტომ მიკვირს, რომ შენ „პრინციპის კაცი“ მეგონე.

**პირველი**. მერე აქ პრინციპი რა შუაშია?

**მეორე**. როგორ თუ რა შუაშია! მაშ წერა-კითხვის საზოგადოებამ ტყვილათ აკრძალა თავის სამკითხველოში სატახტო ქალაქის გაზეთები?

**პირველი**. როგორ თუ აკრძალა! რას ამბობ კაცო?

**მეორე**. ცხოვრებას ჩამორჩენილხარ მეგობარო! აკრძალა იმიტომ, რომ ჩვენ წერა-კითხვას ვავრცელებთ ქართველთა შორისო და აბა რა მოსაზრებით უნდა გამოვიწეროთ რუსული ჟურნალ-გაზეთებიო.

**პირველი**. ნუთუ მართალია?

**მეორე**. ჭეშმარიტათ ნუთუ

**პირველი**. პრინციპიც ამას მიქვია სწორედ.

**მეორე**. განათლების საქმეში მაშ გაგიგონია უპრინციპობა? ხომ ასე უბრალო საქმეა და ჯერ წარმოიდგინე არსად არავისგან არ გამიგონია.

**პირველი**. რა მაგის პასუხია, მაგრამ ერთი ეს გამაგებინე ღვთის გულისათვის... რამდენი ვიფიქრე და თავი ვერ გავართვი...

**მეორე**. აღარ იტყვი რა გინდა?

**პირველი**. რა მინდა და ის მინდა გავიგო, რომ პატივცემული ნინა ნაკაშიძისა დამწვარი გურულების ვექილია, თუ დამწვარი ალექსანდრე ჯაბადარისა?

**მეორე**. რაღაცა მართლა იყო მეგონა. რა ახირებული ეშმაკი შენა ხარ!!! შე კაი კაცო, როცა ადამიანი საზოგადოთ დამწვრებსა მფარველობს, ეს იმას კი არა ნიშნავს, მაინცა და მაინც ცეცხლით გადაიბუგოს. თუ გაგიგონია ადამიანები მზისგანაც იწვიან და ასე გასინჯე სიყვარულითაც კი იწვიან თურმე.

**პირველი**. ჯაბადარს რა უჭირს ან რა სწვავს მერე?

**მეორე**. როგორ თუ რა უჭირს, კაცი კეთილ ცხოვრებას არის მიჩვეული, ამხანაგობა თავზე დააკოტრდა, სტამბა ვალებში წავიდა და რა წყალში უნდა ჩავარდეს? გურულს რა უჭირს:

ერთი თავი ტარანა
ერთი ჯამი ტყემალი,
ცოტა ჭადის ნატეხიც...
აი მისი წამალი!!

ჯაბადარმა რომ ტარანა და ტყემალი ჭამოს, ან ძვალი კი დაახრჩობს და ან სიმჟავე მოჰკლავს.

**პირველი**. მაშ შენი აზრით ჯაბადარიც დამწვართა რიცხვში ურევია?

**მეორე**. ურევია მაშ! თუმცა ის სხვა ჯურის დამწვარია.

**პირველი**. ახლა ის გამაგებიე, ნინო ნაკაშიძისა რომელი რიგის დამწვრების ვექილია?

**მეორე**. ქალბატონი ნინა მხოლოდ ერთად-ერთი ვექილია ყოველთა დამწვართა განურჩევლად ეროვნებისა და სოფლებისა, გარდა სოფელი ხიდისთავისა, რომელიც გურიაში მდებარეობს.

**პირველი**. მაშ მას თამამად შეუძლია დაიძახოს: „დამწვარნო ყოველნო ქვეყნისანო, შეერთდით“-ო.

**მეორე**. მაინც დიდი შურიანი ხალხნი კი ვართ. სიმართლე გითხრა: სულ რაღაც ოთხიოდ წელიწადია კაცი ფულს „ინახავდა“ დამწვრებისათვის და ლამის ერთი ამბავი ავტეხოთ. აგერ ყვირილელ ვაჭ-

რებს 8000 მანეთი „მართებიათ“ კოლა ნემსაძისა და ეს უკანასკნელი უბრალო ქალალდსაც სჯერდება თურმე: რადგანაც თქვენ დამწვრები ხართ „ვალს“ აღარ გახდევინებთო“.

**პირველი.** ღმერთო ჩემო, რა გულკეთილი რამა ყოფილა! მაგრამ სად იშოვა ნეტავი ამდენი ფულები?

**მეორე.** როგორ თუ სად იშოვა?

**პირველი.** ჰო და ხუმრობა საქმეა 800 თუმანი? ყვირილაში ამდენი ფულის შოვნას სწორეთ ყოჩაღობა უნდა.

**მეორე.** ყოჩაღობა უნდა თუ ყაჩაღობა ეს რა ჩვენი საქმეა და ფული კი მართებთ მისი ვაჭრებს...

**პირველი.** სწორეთ პატიოსანი კაცი ყოფილა შენმა მზემ.

**მეორე.** იცოცხლე ის პატიოსანი გვამი იყოს...

**პირველი.** გმადლობთ, თქვენ თვითონ იცოცხლეთ, ჩემთვის საჭირო არ არის ასეთი დამოკიდებულება.

**მეორე.** აჰააა!!!

---

## ჩრდილნი, საშიშნი.

(ლექსი პროზათ)

ქარნი ღმუიან... საშიშარნი დაძრწიან ჩრდილნი! ხენი მთა-ტყეში თმებს იწეწენ, მწარედ ჰკვნესიან:—სულთა ბრძოლის და—დაბადების აგონიაა; მშობელი კვნესის, თან მომაკვდავს თავს დაჰქვითინებს. ჩრდილნი კი ძრწიან... ძრწიან, ზღაპრულ ფერიებივით... ნეკერჩხლის ძირად ჩირგვ-ეკლნარსა, ჯაგარ აყრილსა დასტრიალებენ თავსა, თითქოს, ფერხულს უვლიან. თვით ნეკერჩხალი დერიჟორობს, თითქოს, ამ კონცერტს: დახტიან ჩრდილნი, ნეკერჩხალიც თვის მოძრავ ტოტებს, დერიჟორისა ჯოხებივით, ასწევს და დასწევს... რა უხარიათ? ჰმ! ზამთარი ჯერ ხომ კვლავ ზამთრობს! საშიშარ ჩრდილთა უსამოსლო ჩამომხმარ სხეულთ ზამთრისა სუსხი მუხრუჭივით მოსჭიდებია და კანკალებენ, კანკალებენ კბილთ-კბილთა სცემენ. მაინც დახტიან, ძრწიან, ძრწიან დაუსრულებლივ...

შორს, იქით-მუხა, ეგ ამაყი; გულქვა ბებერი! შუბლ შეჭმუხვნილი, ქედმაღალი, სახე მრისხანე... მისთვის ერთია—კვდება ერთი, ჩნდება მეორე! მსგავსი მოვლენის ის რამდენის მოწამე არის! საბრალო ჩრდილნი!.. რას დახტიან? რა უკვირთ, ნეტა? თვითონ ისინიც ჩნდებიან და ადრეც ჰქრებიან, მაგრამ არ გაჰკვირს ეგ მოვლენა ჩვენში არავის!.. ოჰ, საბრალონი!..

...და ხრინწიან ამოხველებით მუხამ წუთიერს აყუდროებას ქეჩოში ჩაჰკრა! დაჰლმუვლეს ქართა, საშიშარნი ჩრდილნი აბრძოლდენ, მოაწყდენ მუხას, კენწორს, შტოებს ჩამოეკიდენ, უწყეს ვედრება: „გვიქენიო დერიჟორობა!“.. და ფერხულისთვის განმზადილნი ქვეშ დაირაზმენ... ქარნი ღმუიან, ჩრდილნი ძრწიან, მაგრამ ბებერი არ ამოძრავებს თავის შტოებს, ვით ნეკერჩხალი. ამაყი მუხა უკანასკნელს თავს არ უყადრებს; უარის ნიშნად, კენწორს აქნევს უკმაყოფილოთ! .

ქარნი ღმუიან და საშიშნი ჩრდილნი დაძრწიან. მთაში, დაჭრილი ნადირივით, ჰკივის ნაკადი ჰკივის ის „შობის“ თუ „სიკვდილის“ სიმწვავის გამო?! „სიკვდილი“ ყინულთ მუხრუჭებათ მას ეჭიდება—მწვავეა იგი, რა თქმა უნდა, მეტად მწვავეა გაზაფხული კი... მაგრამ ჩრდილნი, ეგ საშიშარნი რად ძრწიან ნეტა და ნაპირებს არ შორდებიან?! რა უხარიათ? სხვისი კვნესა არ ყყურებათ! გამხმარ გაფიჩხულ მათ ძარღვებში სისხლი არა სჩქეფს! მაჯა არ უცემთ! გული არ აქვთ! მასთან—არც გრძნობა!! დაძრწიან მხოლოთ და ისიც—, რო ქარნი ღმუიან!..

„უი, უი-ო“ დაიკივლა მთაში ნაკადმა და გაყინული ძარღვები კვლავ შეათამაშა; ძალდატანებით გაიზმორა, განაგრძო წინსვლა, მაგრამ—ულონოთ, ულაზათოდ, მოდუნებულათ!..

ქარნი ღმუიან... მთა ზანზარებს, ტყე კვნესის.. ჩრდილნი კი... ჩრდილნი, საშიშარნი, ძრწიან და ძრწიან...

ნ. ზომლეთელი.

---

*
* *

საოცნებო დილა არის
მშვენიერი მომხიბლავი
„ღამის მეხრე“ ცის სივრცეში
გაჰკრიალებს, ზე მფრინავი.

—

ბაღით ისმის ნარნარი ხმა
მგალობელი ბულბულისა,
ხრს შეამკობს ციურ ენით
სიკეკლუცე ზაფხულისა.

—

მთის ანკარა ცელქი წყარო
კისკასით და შვებით ხტოდა
და მცენარეს გით სატრფოს ველს
გარს სიამით ევლებოდა

—

დილის ქორწინს ბუნებისას
აღტაცებით შეჰხარიან
მხოლოთ ტანჯვის მოციქულნი
სიდუხჭირის ცრემლ-თოვლს ჰღვრიან.

გ. ქურიშვილი.

# მათრახი ბათუმისათვის.

## № 2.

### მოხსენება კვინწარისა.

თქვენო ყოვლად უეშმაკეულესობავ! მოვემზადე სადარბაზოთ. გადავიცვი კუდიანი ფრაკი, გავიკეთე ფილოსოფოს რობაქიძესავით კრახმალოვანი საყელო თვით ყურებამდე (ხოლო წვერ-ულვაში არ მომიპარსავს), ჩამოვიცვი ხელებზე თეთრი ხელთათმანები და თანახმად თქვენი რეზოლიუციისა ვეახელ ბათუმის სამ-პიროვნებას; ვაუწყე მათ, რომ მათს მოქმედებას უზომო სიამოვნება მიუყენებია თქვენთვის და თან გადავეცი თქვენი ლოცვა კურთხევა და უღრმესი მადლობა. მე მეგონა — მათ ამით უზომო ბედნიერებას მივანიჭებდი. წარმოიდგინე ჩემი განცვიფრება: არა თუ გაუხარდათ, ეწყინათ კიდეც!.. მე კი ისე ვაჩვენე თავი, ვითომ მათი წყენა ვერ შევამჩნიე და მხიარულის კილოთი მოვახსენე: ეცადეთ, ეცადეთ, შვილებო, და თუ მსგავს საქმეებს კვლავ წარმოშობთ, ელოდეთ დიდ ეშმაკისგან არა თუ მადლობას, არამედ საკუთარის ეშმაკეულის ჩამოსაცმელად თავთა თქვენთა ზედა, აგრეთვე გამხმარ-გაწკიპარტებულ ბაყაყს ლენტითა, სატარებლად გულზე სისხლის ჯვარისა წილ; ამაებსა გარდა ხომერიკი ელოდეს ოქროს კალამსა და შავს სახაზავსა ტრანსპორტების გასაიმასხსქნელათა. არც ეს ეამათ, რამაც ფრიად და ფრიად განმაცვიფრა!..

გარემე ამისა, წარმოუდგენ თქვენს უეშმაკეულესობას ჩემ პატარა ეშმაკუნების მოხსენებათა.

### მოხსენება კვინწარს

(დაუყონებლივ წარსადგენად დიდ ეშმაკისადმი).

**კიდევ და კიდევ ბაყაყეთი.** ბ-ნო კვინწარო! გადავიკითხე ჩემი მოხსენება თქვენდამი, წარგზავნილი თქვენ მიერ დიდს ეშმაკთან. დიდად განვცვიფრდი!.. მე ოჯახ-აშენებული, აგილი კალამი და ნახევარი წაგიშლია. ეს ვერაფერი ერთგულებაა ეშმაკისა. მართალია გრძელი მოხსენება იყო, მარა ისეთი რამ იყო, რომ იმის გადაკითხვა დიდათ ასიამოვნებდა მის უეშმაკეულესობას*) გამოვსთქვამ იმედსა, რომ ჩემი მოხსენებანი გახდებიან ღირსნი ეშმაკისადმი უკლებლად წარდგენისა.

მაშ დავიწყებ. მარა საიდან დავიწყო, არ ვიცი. ნამეტარი აისვარა ბაყაყეთში საქმეები, ისე აისვარა, რომ იმის გამოსაწყობათ საჭიროა თვით დიდი ეშმაკის მოწვევა. მე მეტათ მორცხვი პატარა ეშმაკი ვარ და აქ კი ისე ატალახდა საქმე, რომ ყველა იმის გამომზეურება, რაც გამოაშკარავდა, მრცხვენია; გფიცავ ეშმაკის წვერებს ძალიან მრცხვენია. რამდენათაც ძალუძს ეს ჩემს მორცხვობას, გადმოგცემთ კიდევ ნაწილს „საქმისას“ და არა ყველაფერს.

ექს-თანაშემწე ბათუმის ექს-ზედამხედველისა აუწყებს ქვეყნიერებას, რომ მას დიდი ხნის შეუჩდა საცდუნებლად დიდი ეშმაკი „უპრავლენიას“ პარმენი. არ მისცა მოსვენება და შეაცდინა კიდეც! მარა შეცდენასაც და შეცდენაც. ხომერიკი კი არა, ეშმაკმა ქრისტეც კინაღამ შეაცდინა. მარა საქმე იმაშია, თუ რით შეაცდინეს ჩვენი ხომერიკი. და თუ რით შეაცდინეს, ამას თითონ ხომერიკი გვეუბნება მისი მშვენიერი ბაგით. გვეუბნება, რომ პარმენი დაპირდა მას ბაყაყეთში დიდს ადგილს თუ ის ბერეჟიანს უკანტებდა. საკვანტებელი ბევრი რამ იყოო, — ამბობს ხომერიკი და, დაიმედებულმა რომ დიდ ადგილს მივიღებდი, ვუკვანტე ამხანაგსო. ვფიცავ ტარტაროზის სახელს, რომ ასე ამბობს, სწორედ ასე. ასე კი არა — უფრო გაშიშვლებულად, მარა მე ჩემი მორცხობის გამო, იმ ფორმით ვერ ვიტყვი. ცხადია, დიდ ადგილისთვის ხომერიკი თურმე კვანტებს არ დაერიდება. მან ივვანტა, როგორც მისი სიტყვებიდან ჩანს, მხოლოდ ადგილისთვის და არა საქმისთვის *). ამ ოჯახ-აშენებულს სტოლიპინის ადგილს ხომ არ აძლევდა პარმენი, რომ ასეთ სამარცხვინო ხერხს მიმართა! დიდ, დიდი მიეცათ... ბერეჟიანობა. ამას გარდა გვაუწყებს ბ-ნი ხომერიკი, რომ ის პარმენმა შეგზავნა ჟურულთან (ქალაქის თვითმართველობის წევრთან) და დაავალა ეთქვა: შემომიგდა ბერეჟიანი — მაინც და მაინც თქვი, რომ პარმენმა ასი მანეთი ისესხაო და მე, სამოთხის და სულის მოყვარული კაცი, ტყუილს ვერ ვიტყვი; მიშველეთ რამე, მაცდენს ბერეჟიანი, პარმენს ასი მანეთი კი არა, ასი კაპეიკიც არ უსესხებია ბაყაყეთიდანო. წავედი და მეც ასე მოვახსენე ჟურულსო. და მოვახსენე ეს მიტომ, რომ პარმენი ადგილს შემპირდა თვითმართველობაში თუ ამას ვიტყოდიო... მრცხვენია ამას რომ ვწერ, მარა ასე ამბობს ის კაცი და მე რა ვქნა! . ერთი სიტყვით, ადგილისათვის ყველაფერს მოელოდეთ ჩემგანო. ღმერთმა ხეირი მისცეს. კაი შუბლი ქონია ჩვენს ხომერიკს...

რაღას ამბობს პარმენი?.. მცხვენია, მარა რა ვქნა იმასაც ვიტყვი, თუ რას ამბობს. შემჯდარა ჯორზე და ფიცავს: არ მისესხებია ასი მანეთიო. მოწმეები კი დასახელებულია, რომ ნამდვილად უსესხებია. საკვირველია, რათ წაიტეხა ასე ფეხი „უპრავის“ დიდმა ეშმაკმა. კაცო, ფულის სესხება აბა რა დანაშაულობაა!.. მე ხომ პაწია, სულ პაწია ეშმაკი ვარ და მერე კიდევ მორცხვი ეშმაკი, მეც კი მაქვს ნასესხები ფული, მარა ამის არ მრცხვენია და რათ შერცხვა პარმენს?.. ეთქვა, ბატონო, ვისესხე, კი ვისესხეო... არ თქვა ეს და უმტკიცდება კი რომ უსესხებია. აქედან მე ერთი დასკვნა გამომყავს, რომელსაც შენც დაეთანხმები, მგონია, ბ-ნო კვინწარო! რა კი პა-

---

*) როგორც პატარა ეშმაკი წაიკითხავდა, თქვენი უეშმაკეულესობა, რაც წარმოვგზავნე, იმითაც დიდად ნასიამოვნები დარჩენილხართ.

კვინწარი.

რმენმა ასი მანეთის სესხებას უარი სტკიცა და მართლა ისესხა, მაშ საქმე სხვაფერ ყოფილა. მაშ ას მანეთს კავშირი ქონია არა სახეირო საქმესთან. ეს ცხადია, შეტანილია ლიტერატურაში და ამის იქიდან ამოფხეკა არ ძალუძს არავითარ ცუდს „უპრავისას."

ამას გარდა ისიც უნდა გაუწყოთ, ბ-ნო კვინწარო, რომ ხომერიკს ბ-ნი პარმენი მართლა შეჩვენია, შეჩვენია და უცდუნებია ამა დროის საცდუნებელ იარაღითა: თფილი ადგილის შეპირებითა. ამის დამამტკიცებელი საბუთები, გარდა ხომერიკის ლიტერატურისა, კი არ არის, მარა ჩემი რწმენა ასეთია და რა ვქნა. რომ ამაში არ ვცდები ამაზე თვით პარმენიც დამემოწმება (რა თქმა უნდა—თავის გულში და არა საქვეყნოდ).

კიდევ მაქვს სათქმელი, ბ-ნო კვინწარო, მარა მეშინია არ წამიშალო. მოკლეთ ვიტყვი: ჩვენი დალოცვილი „უპრავა" რო არის, ხეირიან კაცებს სათოფეზე არ იკარებს. კარებზე უწერია: ადგილი არ გვაქვს, არ მოხვიდეთ, არ შეგვაწუხოთ, არ გვთხოვოთ. ისე კი ურიგებს ადგილებს.......(მრავალ წერტილიანებს). მარა ეს სოციალ-დემოკრატობის ბრალი უნდა იყოს. ს.-დ. ხსენებაზე ბნედა მოსდით. მე პატარა ეშმაკი ვარ და პატარა ადგილი მაქვს. მგონია ს.-დემოკრატობას მწამებენ ვაი თუ გამომაგდეს!..

ბაყაყეთის მზვერავი პატარა ეშმაკი.

**საბჭოს სხდომა საკოტრეთში.** ბ-ნო კვინწარო! 22 ივნისს საბჭოს სხდომას დავესწარი. უნდა განხილულიყო ბაყაყეთის რევიზიისაგან წარმოდგენილი ამბები: ჩაბულბულდეს ერთი საკითხი, მეორე, მესამე .. ჩააწია ქალაქის თავმა რევიზიამდე. წაიკითხა სხვა ! ხუპით. საავათმყოფოს რევიზიის...(მეტი ვეღარ გავარჩიე) და გადიდვა ქაღალდი განზე. ეს საკითხი უნდა გადაიდოს ,— თქვა მან,—რადგან დამატებითი ახსნა-განმარტება უნდა მოვთხოვოთ გადაუყენებულებსო. ჩემ გვერდით მჯდომმა ეშმაკმა ჩაილაპარაკა: დიდი ეშმაკებია, ეს „უპრავცები" განა დრო არ ქონდათ მოეთხოვათ ამ დრომდე საჭირო ახსნა-განმარტებათ? დგება ერთი ხმოსანი და თხოულობს, რომ ეს საკითხი გაირჩეს საბჭოს კანიკულებამდე.—ჩვენ ორი კვირა, ორ-კვირა ნახევარი (ეს ორ-კვირა ნახევარი უნდა იყოს $17^1/_2$ დღე) მივეცით დათხოვნილებს ვადათ, ამ ხნის განმავლობაში უნდა წარმოადგინონ პასუხიო,—ამბობს ქალაქის თავი.

— აქედან ჩანს რომ საქმის გაჭიანურება გინდათ, —კვლავ ჩაილაპარაკა ჩემმა მეზობელმა,—თუ თავდაპირველად დათხოვნილებს 5 დღის ვადა მიეცით პასუხის მოსაცემად, ახლა რათ იჩენთ გულუხვობას—ორი კვირა, ორ-კვირა-ნახევარი...

ასე იმათრახებენ თავს, ჩემო კვინწარო, „უპრაველნი"... ხომ იციან, რომ საავათმყოფოს რევიზიის შედეგით დაინტერესებულია მცხოვრებნი. რათ არ ცდილობენ დროზე დაამთავრონ საქმე? ასეთი მოქმედებით თვით იმათაც შეეპარებათ იჭვი, ვისაც აქ საეჭვოდ არაფერი მიაჩნდათ. უთველ შემთხვევაში, როგორც ხმოსანთა „ნესტორიანის" შევატყვე, ბაყაყეთს თვით საბჭო დაუნიშნავს რევიზიას და ვნახოთ მაშინ სად ამოგორდებიან თავნი ძაღლისანი...

თუ საჭიროთ დაინახოთ, მოახსენეთ ზემოთქმული მის უეშმაკეულესობას.

მათრახიანი ეშმაკუნა.

**ბათუმის ერთი კუნჭულიდან.** ბ-ნო კვინწარო ამას წინად ქალაქის თვითმართველობის დარბაზში ბ-ნმა გიორგაძემ ლექცია წაიკითხა ევ. ნინოშვილზე. თვითმართველობის დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით; ლექცია მეტად საინტერესო, მეტად შინაარსიანი იყო და ნიჭიერს ლექტორს მსმენნი სულგანაბული უსმენდენ. იქ იყვნენ უმთავრესად მუშები, საშვალო ინტელიგენტი და წვრილი ვაჭრები. არსად ჩნდენ ჩვენი წვერ-ულვაშ გაპარსულ ,,ფილოსოფოსის'' კლიენტები. მხოლოდ ერთად ერთი გ. ჟურული ჩნდა მათგან. კარები შემოაღეს და შემოვიდნენ მ. ბ-ნი ივანე მესხი და ან. ლეკანოზიშვილი მარა მათდა საუბედუროთ, შემოსვლისთანავე მოხვდა მათ ყურს სიტყვები: ,,კარლ მარქსი და კაპიტალიზმი'' თოფ-ნაკრავივით ისევ უკან გავარდენ... იხსენება ამიხსნა, კვინწარო: რატომ მოხვდა ამ ხალხს თოფივით ეს სიტყვები?..*)

მოკეტიალე ეშმაკი.

*) ახსნა არ სჭირია, ადვილი გასაგებია.

კვინწარი.



## ქართველი მოღვაწეები.

### იასე რაჭველი

(ანუ ერისკაცობაში მეხუზლა).

**წინასიტყვაობა.**

ახლავე ვგრძნობ, რომ საგანი დღევანდელი ჩემი გამოკვლევისა ისეთი ძნელი და მძიმეა, ისეთი სახიფათო და საბედისწერო, რომ ჩემი სუსტი ძალა ვეჭვობ გადასწვდეს მის სიდიადეს. იასე რაჭველის „მოღვაწეობა" ეს ისეთი გამოცანაა, რომლის არც თავი გაეგება ვისმე, რასაკვირველია გარეშე თვით რაჭველისა, და არც ბოლო. მთელი მისი საზოგადო მოღვაწეობა, ხალხური ენით რომ ვსთქვათ, ყინულზე დაწერილ თამასუქს მოგვაგო-

ნებს. საკმარისია თითონ რაჭველმა ერთი სული გადაუბეროს, რომ მისი კვალი და ასავალ-დასავალი სამუდამოთ გაჰქრეს ისტორიისა და შთამომავლობისათვის. და განა მარტო ეს დაბრკოლება ეღობება წინ ჩვენს სურვილებსა და განზრახვებს? რა ბრძანებაა! რა ბრძანებაა! ტიტე ართმელაძის მაგალითმა ჩვენ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, თუ როგორ აფასებენ ჩვენი მოღვაწეები მათ შესახებ მიუდგომელ მსჯავრსა და განჩინებას. ბ-ნი იასეც ერთობ გრძელ მოუბარი „პუბლიცისტია“.



ასეა თუ ისე, ჩვენ შეძლებისა-და-გვარათ ვემსახურებით ჩვენს მოვალეობას.

**ვინ არის იასე რაჭველი?**

დიდი შეცდომა იქნება თუ ვინმე ფიქრობს, რომ იასე რაჭველი მართლაც რაჭიდან არის წარმომდგარი. როგორც წეღან მოგახსენეთ, ნამდვილი გვარი იასესი არის არა რაჭველი, არამედ მეხუზლა და თითონაც წარმოიშვა არა რაჭაში, არამედ გურიის ერთ-ერთ საზოგადოება—გურიანთაში. მოხდა ეს ამბავი დაახლოვებით მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში. მთელი თავისი ბავშვობა პატარა იასემ ამ სოფელში გაატარა და აქვე დაჭაბუკდა, სწავლა-განათლება იმ დროს არ იყო მოდაში და ამიტომ არც იასეს აწუხებდენ სხვადასხვა „ნაუკებით“.

**უბედური შემთხვევა.**

მცოდნე პირები და მცმატიანენი ამბობენ, რომ იასე არც პატარაობაში ჰგავდა სხვა ბავშვებს. ის რაც დრო გადიოდა, იმდენი იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა. სწორეთ ამ ვაჟკაცობის ხანაში მას „რაღაცა უსიამოვნობა“ შეემთხვა მეზობელთან და იძულებული იყო სტამბოლში გახიზნულიყო. ამ ახალ სამშობლოში იასე კარგა დიდ ხანს დარჩა და სწორეთ აქ გაიფურჩქნა იმისი ბელეტრისტული ნიჭი. სტამბოლის ქართველებში იასემ უცებ მოიხვეჭა შესანიშნავი კაცის სახელი, მეტადრე ათონის ბერებში, რომლებსაც, თუ ზეპირ გადმოცემას დავუჯერებთ, ენერგიულ დახმარებას უწევდა მდიდარ ქართველების ადრესთა გამოძებნაში, როგორც მოგეხსენებათ ძველ დროში და ზოგგან ახლაც, ბერ-მონაზვნების ლოცვა-კურთხევას დიდ ყურადღებას აქცევდენ, მეტადრე მდიდრები, ვინაიდან დიდ ქონებასთან ერთად მათ ცოდვებიც ბლომათ ჰქონდათ. ამით რასაკვირველია ისტატურათ სარგებლობდენ ბერებიც და ცხადია ისეთი გამოცდილი პირის დახმარება-მონაწილეობაზე, როგორც იასე იყო, უარს არ იტყოდენ.

**რა შეჰქმნა იასეს ნიჭმა?**

პირველ ხანებში იასე რაჭველი გაზ. „კვალში“ სწერდა, შემდეგ კი ბოლო დრომდე სულ აიღო ხელი ბელეტრისტობაზე და პრაქტიკულ ცხოვრებაში ჩაება. რა შეჰქმნა ღირს შესანიშნავი მისმა ბელეტრისტულმა ნიჭმა, ეს ისეთივე გამოცანაა, როგორც სხვა დარგი მისი მოღვაწეობისა. ყოველ შემთხვევაში ცხადია მხოლოდ ის, რომ ღირს-შესანიშნავი და ხსოვნის ღირსი არაფერი დაუწერია. იასე თითონვე იყო მიმხვდარი, რომ მისი ნიჭი მწერლობაში არ იყო იმზომ ძლიერი და იკლიკანტური, როგორც ის პრაქტიკულ ცხოვრებაში და აი კიდევაც აღსრულდა მოსალოდნელი: მოსწყდა ქართულ ბელეტრისტიკას მისი კალამი და ქართულ ცხოვრების მრეწველობაში გამოჩნდა ახალი ვარსკვლავი.

**„გეორგია“.**

დარწმუნებული ვარ თქვენ უკვე მიხვდით, რომ მე მოგახსენებთ ამხანაგობა „გეორგიაზე“!! ჩემი აზრით მარტო იასეს მხნეობითა და ენერგიით არ აიხსნება ის სწრაფი და საოცნებო ზრდა-განვითარება, რომელსაც დღეს აღნიშნული ამხანაგობა

აღწევს, მაგრამ მთავარ მამოძრავებელ ძალის მაინც იასე შეადგენდა.

**აყვავება ამხ „გეორგია“-სი.**

იქ, სადაც ენერგიული ხელი მუშაობს, საქმე ყოველთვის სასურველათ მიდის და თუ ენერგიულ ხელს ტკბილი ენაც თან ახლავს, „ცივ ქვაზედ ც“ შეიძლება დასახლება. ვინაიდან იასეს ენერგია ალარავისთვის საეჭვო არ არის, ამიტომ მოვიყვან პატარა ნიმუშს მისი ენატკბილობისას.

1908 წლის 8 აპრილს იასე მეხუზლამ ნაბეჭდი ბარათები დაუგზავნა საზოგადოების წევრებს საზოგადო კრების დანიშვნის შესახებ და თუმცა ეს საქმის ქაღალდია, მაგრამ ნახეთ როგორის მშვენიერი სიტყვებით იწყება:

**დიდათ პატივცემულო ბატონო!**

მოგილოცავთ მომავალს ქრისტეს აღდგომას და გისურვებთ ბედნიერად და სიამტკბილობით გაგეტარებიოსთ ეს დიადი დღესასწაულები და კიდევ მრავალს დასწრებოდეთ *) ყველა თქვენი მოკეთითურთ—მრავალ ჟამიერ“.

ცხადია ასეთი ზრდილობიანი და თავაზიანი მოღვაწე საქმესაც რიგიან ნიადაგზე დააყენებდა და ეს მართლაც ასე იქნებოდა, თუ რომ ჩვენში სახალხო მოძრაობა არ დაწყებულიყო.

**აყვავება ამხ. „გეორგიისა“.**

როგორც ამბობენ სახალხო მოძრაობამ დიდი ზარალი მიაყენა ბ-ნ იასეს და ამგვარათ „გეორგიას“ საქმეც უკან, ე. ი. იასესკენ დასწია. საქმე იმაშია, რომ არეულობის დროს „აიკლეს“ ბათუმის კანტორა და იქ დაიკარგა ის ყინულის თამასუქები, რომელიც ბ-ნ იასეს ამხანაგობის კრებისათვის უნდა წარედგინა, რასაკვირველია იმ შემთხვევაში, თუ კი ვინმე ურწმუნო თომა გამოჩნდებოდა და ეჭვს შეიტანდა მეხუზლას გულწრფელობაში.

**ალი უკვამლოთ შეიძლება?**

მოძრაობამ ხალხი ისე „გარყვნა“, რომ გამოჩნდენ პირები, რომლებმაც ანგარიში მოსთხოვეს იასე მეხუზლას. იმათი აზრით იასემ ყლინწი უქნა საზოგადოების ქანქარს და მოჰორა რაღაც „კანტორის აწიოკება“. მართლაც არავინ იცის, სადა და რა პირობებში მოხდა ეს აწიოკება, მაგრამ საქმე მარტო ამ უბედურებით არ დაბოლოვებულა. „აწიოკებას“ გადარჩა კიდევ რამოდენიმე საბუთის ქაღალდი, რომლის საშვალებითაც შეიძლებოდა საზოგადოებაში ჩამარხული ძაღლის თავის აღმოჩენა, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ ეშმაკს არა სძინავს და აი ერთ მშვენიერ დღეს, იასე რაჭველს მეორე უბედურება ეწია.

**„გვადრუცის“ (ჩემოდნის) დაკარგვა.**

მეორე „აწიოკების“ შიშით, იასეს მუდამ თან დაჰქონდა გადარჩენილი საბუთები ამხანაგობისა პატარა გვადრუცით. ერთხელ, ქუთაისში ყოფნის დროს, მას ვიღაც „ბოროტ-გამზრახველებმა“ ეს გვადრუცი მოპარეს და ამგვარათ მოისპო ერთადერთი კვალი იასეს მოღვაწეობისა. როგორც ამბობენ, იასეს განეცხადებია პოლიციაში ეს „სამწუხარო“ ამბავი, მაგრამ ბოროტ-მოქმედი მაინც უგზო-უკვლოთ მიიმალა.

**წევრების ფხაკური.**

ამ უბედურებათა მიუხედავათ ზოგიერთმა წევრებმა მაინც მოითხოვეს ანგარიშის გასწორება და საზოგ. დოებიდან გასვლა, მაგრამ იასემ მათ სურვილს ყურადღება არ ათხოვა. ვიღაც ზედგინიძემ, ამირეჯიბმა, აბულაძემ და სალარიძემ წერილებიც ბეჭდეს გაზეთ „დროებაში“, მაგრამ იასეს დრო არა ჰქონდა, მათთვის შესაფერი პასუხი გაეცა. ამის გამო წევრთა ფხაკური უნაყოფო დარჩა.

**ძველი გზა.**

ამ ხანებში სახალხო მოძრაობაც დაეცა და იასემ თავისუფლად ამოისუნთქა. ალბათ ამა გარემოებისა გამო გაიღვიძა მასში მწერლურმა ნიჭმა და „სავაჭრო გაზეთის“ ფურცლებზე დაიწყო პატიოსნებით ვაჭრობა. იშოვნა თუ არა მუშტარი ვინმე, ძნელი სათქმელია, რადგან ერთხელ გაკოტრებულს ბევრი ეჭვის თვალით უყურებდა, მაგრამ ენა მაინც მოიფხანა.

**დღეს?**

დღეს დღეობით იასე რაჭველი, როგორც ასეთი და როგორც გამგე „გეორგიის“ ნაშთებისა ორ საქმეშია გაბმული: „აშენებს“ მუხრანის ხიდს და მიტროფანე ლაღიძის ქარხანას. ჯერ-ჯერობით ის სულ ახალგაზდა კაცია და მისგან მომავალშიაც ბევრ სასწაულს უნდა მოველოდეთ. „კაცს ღმერთი თუ სწყალობს, ხატები რაღას დააკლებენო“, ამბობს ქართული ანდაზა.

ამით ვათავებ ჩემს მოკლე საუბარს და იმედია მომიტევებთ თუ სრულად ვერ აღვნუსხე ყოველივე.

**ისტორიკოსი.**



*) რასაკვირველია დღესასწაულებს, თორემ კრების შესახებ სწერს: შეგიძლიათ არ მობრძანდეთ, მხოლოდ ვექილობა გამოგზავნოთო. . ისტორ.

# დაბა-სოფლები

**ფოთი.** ლევას „ახალ სიმებს“ ნაღვლიანი კილო დაეტყო. ამბობენ, რომ ლევას ქანქარი იყო თურმე „ნაღველასიმ‘‘ ჩააიმასქნაო.—ალლახმა უწყის!...

—

,,კულტურის ქარი‘‘, რომელსაც ლ გ—ი სწერდა, ჩავარდა უკვე და კვლავ ცივი ქარი სისინებს.

—

როგორც ნამდვილ წყაროებიდან გავიგე, ამ დღეებში ,,მედგარი‘‘ საჯარო დარბაზში წაიკითხავს ორ ლექციას: პირველი-„ნახევარი კაპეიკი და ფოთი.“ მეორე-„როგორ უნდა მოეწყოს არშიყობის საქმე“.

—

ფოთის დაუძინებელ მამას უცბათ ჩასძინებოდა, რომელსაც ძილში მახარობელი ანგელოზი მოვლინებია და შეჰპირებია, რომ პალიასტომი როგორც დავანგრიე ისევ ავაშენებო!.. მის სიხარულს საზღვარი აღარ უჩანს და უკვე შესდგომია კიდეც ,,უჩასტკების‘‘ შეძენას. მაგრამ ანდრი ქვანია ილაშქრებს მის წინააღმდეგ, ის ამბობს: ალხაზოვს თუ ძილში ანგელოზი მოევლინა და დანგრეული ქალაქის აღდგენა შეჰპირდა, მე ცხადათ ვნახე და სამახსოვროდ ,,მოღვაწეობისთვის‘‘ მიძღვნაო. საჭოჭმანოა, თუ ვინ გაიმარჯვებს მათ შორის ჯერჯერობით.

—

ვითომც მგოსანი გერმანე მესამეს უცხადებს სიყვარულს და თავისი დაუღლელი ჩანგით უმღერის, მხოლოდ პასუხი დახშულ კარებიდან გამოჰკრთის:

ნუ მადარებ ციურ ვარსკვლავს,
და ნურც პირ-ბადრ მთვარესაო,
ნურც იასა მომღიმარეს
ნურც მზეს მოელვარესაო!
არ გეტრფოდი, რათ დაღალდი?
რათ მოქანცე ჩანგურიო,
ხომ იცოდი სხვაზე ძგერდა,
გრძნობა, რწმენა და გულიო
მე არც მზე ვარ და არც მთვარე,
არც გაშლილი ია-ვარდი
ენას ღალავ, თავსა იმტვრევ
არ მიყვარხარ, არც მიყვარდი!-ო

მხოლოდ ამ „ატკაზით“ იმედს არ კარგავს პოეტი, რა რომ მგოსანი ლევა აიმედებს, კაცო, „ჩემმა ნინამ“ ვარესი დღე დამაყენა, მხოლოდ, რა ავაჟღერე „სიმები ახალს ჰანგზე“ დავჰკარი მედგრად, უმღერე დაუღლელად შემიბრალაო ღმერთმაც ჰქნას!

**მელხებელი.**

—

**დ. ხაშური.** ამ დღეებში ხაშურის მამასახლისი ს. ხადიაი-მურაზა ძლიერ ავათ შეიქნა, არ ვიცით კი რით. თავიდანვე ასეთი სიმპტომები დასჩემდა, მკლავების მაგივრათ მათრახი გამოება და იქნევს, ცხვირზე რევოლვერი გამოება და სულ აცხინკვებს ლორებისა წილ, თითქო სურდო სჭირსო.

„ცდა ბედის მონახევრეაო“ და ჩვენც იმედს არ ვკარგავთ, რომ შეიძლება განიკურნოს, გამოგვიგზავნეთ თქვენი უებარი წამალი,—სპერმაკუდინი, ხომ მოგეხსენებათ დამწვარს მდუღარე მოარჩენსო და თუ არ დაიზარებთ წაუსვით ზურგზე თქვენი მათრახის კუდიც.

არა ნაკლებ ავათ არიან მიხაილოვის დეპოს „მოწინავე“ მუშები, რისგამოც მათ გადასწყვიტეს, რომ ყოველგვარ საზოგადო საქმეებზე ზრუნვა და ფიქრიც კი შესწყვიტონ მანამდე, სანამ რუსეთში სრული დემოკრატიული რესპუბლიკა არ დამყარდება. მართალია, ეს სენი არც ისე საშიშო და განუკურნავი არის, მაგრამ ადგილობრივი წამლები მაინც არაფერს შველის. ამიტომ, გთხოვთ ძმაო ეშმაკო, გამოგზავნოთ მათთვისაც სპერმაკუდინი, თვითეულს ათ-ათი წვეთი და თუ ამან არ გასჭრა, მაშინ ნუ დაიშურებთ მათი ზურგისთვის

როცა ჩამოხვალთ,—აქვე, დეპოში ინახულეთ „ლამპოვჩიკი“ ლევანტი მეტრეველიც. მას კუჭის ტკივილი აქვს ატეხილი, რაც ექიმ მინასიანცის შემოწმებით გამოუწვევია სხვისი ქონების მითვისებას, ე. ი. სხვისი წანაგლეჯით საზრდოობას, რაც თურმე კუჭისათვის ერთობ ძნელი მოსანელებელია. როგორც ამბობენ, ამითვე აიხსნება ის გარემოებაც, რომ მან უარი თქვა ამას წინეთ სამედიატორო სამართალზე და განაცხადა მუქარით, რომ „მე საქმეს პოლიციას გავარჩევინებ, უმისოთ წყალსაც არ დავლევრიო“ და სხვ...

როგორც ხედავთ, ძმაო ეშმაკო, ეს სერიოზული ავათმყოფია და თუ ოცდა-ათჯერ მაინც არ მოიხსენიებთ მათრახის კუდით,—თქვენი მტერია... შემდეგ ვინ იცის, რათ გადაექცევა ეს საშიშარი სენი...

დასასრულ, მდ. ფრონეს გაღმაც გადით. აქ ღამის 10—11 საათზე ნახავთ გზაზე მოსეირნე საშა და ალათო ძინძიბაძის „ბარიშნებს“. მათაც ხუთხუთჯერ უცხუნეთ თქვენი მათრახის კუდი, რა-

დგან ისინი გლახათ ასიქსიქებენ ენას აქაურ მამასახლისთან კერძო ინტერესების გამო.

**ახლათ გაცმმაკებული.**

—

**ოზურგეთი**—შაბათს 20 ივნისს აქ ლექცია წაიკითხა ეგ. ნინოშვილზე პ. გელეიშვილმა. მიუხედავათ იმისა, რომ კოკის პირული წვიმა დაუშვა, დარბაზი მთლათ გაიქედა ხალხით. სწორეთ ღამის $10^1/_2$ საათი იყო, როცა წვიმამ უკლო და ნახევარი საათის განმავლობაში აუარებელმა ხალხმა მოიყარა თავი. ლექცია საუცხოვო იყო, მთლათ მიიპყრ'ა მსმენელთა ყურადღება, მხოლოდ ბებურას და ბარნაბს ძილი მოერიათ და საუცხოვო ხვრინვა ამოუშვეს. ეს ლექტორმაც კარგათ შენიშნა. მიუხედავათ ძილისა ბებურს და ბარნაბს მაინც ძალიან მოსწონებიათ ლექცია.

**ჰო.**

—

**ქუთაისი.** ქუთაისის სადგურის ტელეგრაფისტების ხოლერისაგან დასაცავათ რკინის გზის ადმინისტრაციას მათ ოთახში დაუდგამს დიდი ხის ყუთი, რომლიდანაც ისეთი მყრალი სუნი ამოდის, რომ საბრალო ტელეგრაფისტებს მუდამ ხელში ცხვირსახოცი უჭირავს და ისე მუშაობენ. მეტათ საჭიროა სპერმაკუდინის წვეთები, რომ ცოტათი ჰაერი გაიწმინდოს.

**ისმაილ.**

—

**ქალ. ჩარჯუ.** აქ სამოცი ქართველი ცხოვრობს. წარსულ წელს მთავრობის ნებართვით მოხდა ქართველების კრება, მიზეზი იყო რამოდენიმე შანტაჟისტობა. კრებას დაესწრო ქართველების დიდი უმრავლესობა. კრებაზე სხვათა შორის დაისვა კითხვა უსაქმოდ დარჩენილი ქართველების დამხმარე ბიუროს დაარსებისა. არჩეულ იქნა 6 კაცისგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ბიუროს წესდების შემუშავება და მთავრობასთან დამტკიცება. კომისიაში არჩეულ იქნენ: ხ. შარაშიძე, ყ. ჯაჯანიძე, ე. დვალი, ს. სხირტლაძე, პ. ჯღენტი და გრ. მეავია.

აქვე კრებაზე ბიუროს ფონდისთვის, მოგროვდა 100 მ. და გარდაეცა კასირად არჩეულ ფ. რუხაძეს. ამის შემდეგ აგერ გავიდა ერთი წელიწადი, და კომისია დღესაც ხვრინავს. კამისიის საქმიანობა როგორც გადმომცეს მდგომარეობს იმაში რომ:

კრებაზე შეკრებილ ფულსა
ატყვია წარმოებაო
დეიდ-მამიდა-შვილური
ფეხები გამოებაო...

—ამ ორი წლის წინად აქ შეკრებილ იქნა 90 მან. საქართველოში გასაგზავნათ ერთ-ერთი კულტურულ საქმისთვის. ეს ფული დღესაც არ არის და[illegible]შნულემისამებრ გაგზავნილი. მოვაგონებთ ან გაგზავნოს დანიშნულემისამებრ და ან შეკრიბოს შემომწირულები და ისინი თუ არსებობს ის კულტურული საქმე რისთვისაც ეს ფულები იქნა შამოწირული გაუგზავნიან ან იქ ან სხვა მსგავს დაწესებულებას შესწირავენ.

—ამ ორი წლის წინად აქ ჩამოევლო ამხ. „კალამი“-ს გამგეს სადარაძეს სახელით, რომელსაც თან დაქონდა ამხან. პაი ათ-ათი მანეთიანი. პაი ბეურმა ქართველმა შეიძინა. ხელ მომწერებს ბ. სადარიძე დაპირდა ამ ამხ. ანგარიშს და გამოცემასაც მიიღებთო. მ.გრამ ხელ მომწერლებს არამც თუ გამოცემები მიეღოთ ისიც არ იციან ეს ამხ. „კალამი“ არსებობს თუ არა. საჭირაა ვისგანაც ჯერ არს ხმა ამოიღოს და გვაცნობოს იყო თუ არა ამხ. „კალამის“ რწმუნებული ბ. სადარაძე და თუ იყო რად არ აასრულა თავიი დაპირებები. პაი არის გამოცემული ბაქოში ამხანაზობის ხელ შეკრულობა შემოწმებულია ბაქოს ნატარიუსს ძდანოვის მიერ პაიზე ხელი უწერია: დამჯდომარე პ. გელოვანი გამგე დირექტორი ს. ფადარაძე მესალარე რ. ნაცვლიშვილი და გამგეობის წევრს ყლად. ახობაძეს.

ლ. გეჯეთელი.

## სახალხო თეატრში.

კარგა ხანია ალ. წუწუნავა ქართული სცენისათვის ამზადებდა გ. დ. ანუნციოს პიესას: „იორიოს ასული.“

27 ივნისს სახალხო სახლის სცენაზე მართლაც ვიხილეთ ჩვენი სცენისათვის უჩვეულო სურათი. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ ბ-ნმა წუწუნავამ გაამართლა ჩვენი მოლოდინი და თუმცა მაყურებელთა უმეტესობისათვის უცნობი დრამიდან ერთი მოქმედების ამოღება ხელს უშლიდა საერთო შთაბეჭდილებას, მაგრამ მაინც აშკარათ დავინახეთ თუ რა შეუძლია საქმის სიყვარულს და ენერგიას. არა თუ სახალხო სახლის სცენაზე, ქართულ ნაფიც მსახიობთაგანაც არავის გვსმენია ასეთი მწყობრი თამაში, არ გვინახავს ასეთი გემოვნება სცენის მოწყობა—დეკორაციაში.

სასურველი კი იყო ჩვენი სცენის ჭირისუფალთაგან გარდა ზოგიერთ მოთამაშეთა დასწრებოდა ვინმე ამ წარმოდგენას.

თითქო განზრახთ, თითქო თეთრისა და შავის უფრო მკვეთრ გამოსახატავათ, ანუნციოს დრამას მოაბეს ისეთი უშნო, უნიჭო, უმსგავსო და უბადრუკი ნაწარმო-

ბი ჩვენებური „შემოქმედობის“, როგორიც ეგრეთ-წოდებული ღლაბუცობა—„რუკი ვერხ“ არის. გონიერი ადამიანი ჯერ ერთი დროსა და ქაღალდს არ წაახდენდა ამ სადღაბუცო „კომედიაზე“ და თუ ეს შეცდომით ვინმემ ჩაიდინა, რადა საჭირო იყო მისი სცენაზე დადგმა? სწორეთ რომ სამწუხაროა ეს მოვლენა და სამწუხაროა აგრეთვე ისიც, რომ ჩვენმა სახალხო სახლის „ზუბლიკამ“ არ იცის გარჩევა, ვისა და როდის უნდა დაუკრას ტაში.

მეორე მოქმედება, ანუ „საკონცერტო განყოფილება“ ბევრით არ ჩამორჩებოდა „რუკი ვერხ'“, მეტადრე პირველი სცენა გრიშაშვილისა და მეორე ჭიანური ბ-ნი ურუშაძისა. ჩვენი აზრით სახალხო სახლის სცენაზე ადგილი არ უნდა ჰქონდეს ისეთ ქუჩურ ნაწარმოებს, როგორიც დიდის ადტაცებით ჩააბულბულა ბ-ნმა გრიშაშვილმა და არც ისეთ უნიჭო ან ასი და ასჯერ გადანაღეჭ და სინამდვილისგან განშორებულ სცენებს, რომლებსაც ბ-ნი ურუშაძე ასაღებს გურულების სახელით. იმათში ხომ არც აზრია, არც სინამდვილე, არც ხელოვნება და არც რაიმე სარგებლობა? მაშ რადა საჭიროა?

**მსახიობ-ეშმაკი.**

# ქვეყნიერობა

## ეშმაკის თვალქვეშ.

### 1. სპარსეთი.

„ზაკავკაზიეს“ „ბრძენებმა“ ადრევე დაჰკმეს სახ. დუმაში შეტანილი შეკითხვა სპარსეთში ჯარის გაგზავნის შესახებ და სირცხვილი რომ იყოს იმ ქვეყანაში, სადაც ეს გაზეთი იბეჭდება, რასაკვირველია გაწითლდებოდენ, მაგრამ მათ შავ სახეს ვერარაფერი გააწითლებს.

საბოლოოზე მიყვანილი საქმე სპარსეთის რევოლიუციონერებისა ახალმა სტუმრებმა ლამის იყო ჩაშალეს და ახლა მოწამე ვართ სულ სხვა სურათისა.

ბურჯი სპარსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობისა ქ. თავრიზი სდუმს, სახალხო გმირები: სათარხან-ბაღირ ხანი—ეს მართლაც და ირანის ლომები გალიაში სხედან, შორიდან შესცქერიან იმ მოძრაობას, რომელიც თეირანის გარშემო სწარმოებს.

შახის კეთილ-დღეობა აშკარა განსაცდელშია. ამას აღარავინ არ მალავს და არც შეიძლება დაიმალოს. მის რეზიდენციას, თეირანს, ირგვლივ ბახტიარებისა და კაზვინელების რაზმები არტყია. დღეს არა, ხვალ უთუოდ ქალაქში შეიჭრებიან და სპარსეთის „აბდულ-გამიდს“ სტამბულელ მოძმეზე უკეთესი მომავალი არ მოელის. რუსეთი კვლავ აგზავნის რაზმს „ენზელის გზაზე წესიერების დასაცველათ“ მაგრამ ამ გარემოებას სულაც არ უფრთხიან სპარსეთის რევოლიუციონერთა წინამძღოლები: პირიქით მათ კიდევაც აბრაზებს და ენერგიას მატებს ეს მოვლენა. რუსეთის მიერ სპარსეთის საქმეში ჩარევას არც ერთი პროგრესიული გაზეთი არ ამართლებს.

### 2. ოსმალეთი.

ოსმალეთის ცხოვრება ნელ-ნელა ეჩვევა თავის ახალ მდგომარეობას. სამხედრო სასამართლოები იქაც ენერგიულათ მუშაობენ. ახალ-გაზრდა ოსმალოთა ავტორიტეტი ჯერ კიდევ არ შერყეულა. ალბანელთა აჯანყება გათავებულათ ითვლება. ჯევად ფაშამ თავისი დამსჯელი რაზმით უკვე დაუმორჩილა ახალ წყობილებას ალბანიის მთიულნი, რომელთა შორის ბევრი იყო აბდულ-გამიდისა და მისი მმართველობის მომხრე.

დღეს-დღეობით ოსმალეთის საჭირ-ბოროტო საკითხს კრიტოსის საქმე შეადგენს. ამ საქმის გამო საბერძნეთთან ომი აუცილებელ საქმეთ მიაჩნიათ.

ოსმალეთის დიპლომატიამ თავი იჩინა აგრეთვე სპარსეთშიაც.

როგორც თავრიზის კონსულს განუცხადებია, ერთი კორესპოდენტისათვის: ოსმალეთი ენერგიულ მონაწილეობას მიიღებს სპარსეთის საქმის გადაწყვეტაშიო და მართლაც როგორც კი რუსეთმა გადაიყვანა თავისი ჯარი ადერბეიჯანში და დაიჭირა ქ. თავრიზი, ოსმალეთმაც გადმოლახა სპარსეთის საზღვრები და გადმოვიდა ურმიაში. საზოგადოთ ოსმალები თითქო კიდევაც მფარველობენ სპარსეთის მოძრაობას და სათარხან-ბაღირხანიც ამიტომ ოსმალეთის საელჩოს შეეკედლენ.

### 3. ინგლისი.

ინგლისში სახელმწიფო დუმის დეპუტატთა მოგზაურობა დასრულდა და როგორც დეპეშებიდან ვიცით ხომიაკოვი უკვე დაბრუნდა პეტერბურგში. საზოგადოთ დეპუტატებს მეგობრულათ დაუხვდნენ და პატივი სცეს. ერთად-ერთი ინციდენტი, ეს ინგლისის მუშათა პარტიის მოწოდებამ გამოიწვია. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ინგლისის მუშათა ორგანიზაციამ მოწოდება გამოსცა ხელმწიფე იმპერატორის ინგლისში მოგზაურობის წინაამდეგ. ხომიაკოვმა ამ მოწოდებას პასუხი გასცა.

სპარსეთის საქმე ინგლისშიაც დიდ ყურადღებას იპყრობს, რადგან რუსეთი ინგლისთან თანხმო-

ბით მოქმედობს. პალატაში დეპუტატებს ხშირ-ხშირათ შეაქვთ შეკითხვები რუსეთის ჯარის დანიშნულება-მოქმედებაზე, მაგრამ პასუხი, ვისგანაც ჯერ არს, ყოველთვის ბუნდოვანი და გაურკვეველია.

**4. საბერძნეთი.**

საბერძნეთი, როგორც გაზეთები იწერებიან საომარ ფეხზე დგება და თოფ-იარაღს ისხამს. ამბობენ, როგორც კი მფარველი სახელმწიფოები კრიტოსიდან ჯარს გამოიყვანენ, საბერძნეთი მაშინვე შემოერთებულათ გამოაცხადებს კრიტოსს და რადგან ოსმალეთი ამას არ დასთმობს, ომი აუცილებელია.

ვისაც ახსოვს წარსული ომი ოსმალეთ-საბერძნეთისა, ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ თუ ომი მოხდა საბერძნეთს აუცილებელი დამარცხება მოელის.

ოსმალეთში მცხოვრები ბერძნები არ მალავენ თავის თანაგრძნობას ბერძნებისადმი და მიდიან, რომ საბერძნეთის ჯარში ჩაეწერონ თავისუფალ მეომრებათ. (სხვა დროს).



**მათრახის ფოსტა.**

**სურამი.** კრახმალიანს. თქვენს ლექსში ასეთი კუპლეტია:

„დღისით მერცხალი ჭიკჭიკებს
ჩემი სახლის სხვენის ჭერზე,
ღამით ბულბული გალობს
სატრფოს ტკბილსა ჰანგზე“.

საქმე იმაშია, რომ ვერ გავიგია თქვენი სახლის ჭერზე ანუ სხვენზე ბულბული საიდან მოთავსდა. შეიძლება ეს ბულბული არ იყო, შეიძლება თქვენ თაგვების „ტკბილი ჰანგი“ მოგესმათ და ამრიგათ რედაქცია შეცდომაში შეგვყავთ? ყოველ შემთხვევაში კიდევ ყური დაუგდეთ ერთ-ორ საღამოს და თუ მართლა ბულბული აღმოჩნდება თქვენს სხვენზე გვაცნობეთ.

**ქუთაისი.** მარილიანს. რედაქციამ უთუოდ უნდა იცოდეს ვინ არის ის ანტონა, სიზმარ-ცხადში რომ კარტი აგონდება; უნდა იცოდეს ვინ არიან აგრეთვე მისი

„მეგობრები განუყრელი
იქ რომ შეატყდეს ხელი
სტყა ეწყო დასტა ჭრელი“...

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ არ შეგვიძლია ამ საინტერესო „პოემის“ დაბეჭდვა და მითი ქუთაისის გამოხსნა „განსაცდელისაგან“.

**იქვე.** ჭრელაძეს. ცხადია თქვენ ამ ჟამათ დაგიწყიათ მწერლობა ვინაიდან პირველი ლექსისათვის „ია“ დაგირჩმევიათ; საკვირველი მხოლოთ ის არის, რომ თქვენს „ია“-ში მარტო მუხაზეა ლაპარაკი. იმედია შემდეგი ლექსი „თითი“ იქნება, შემდეგ „საათი“ და ასე ამგვარათ, როგორც „დედა“-ენაში სწერია.

**ნიგოითი.** მოყურადეს. თქვენ მხოლოდ წერილების სიგრძეს შეუყვანიხართ შეცდომაში, თორემ რა მსგავსებაა ტ. ართმელაძესა და დროების პუბლიცისტ B-ს შორის, ართმელაძე, თქვე დალოცვილო კაპიტალისტებს ებრძვის, (რასაკვირველია მამასახლისის დახმარებით) ხოლო B-მათ განმრავლებას ცდილობს.

**დაჩხირს.** თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.

**ფოთი.** კაჯს. თქვენი ლექსი „მუზა მიმიწვევს თავისკენ“ ისე მოეწონა მთავარ ეშმაკს, რომ საკუთავის ხელით დააწერა:

„აცნობეთ „კაჯს“ ეხსნას მუზებს
და დრო თუ აქვს სდიოს ბუზებს.“

ჩვენც გირჩევთ და გთხოვთ ძვირფასი დარიგება იქონიოთ სახეში მომავლისათვის სახელმძღვანელოთ

**სამტრედია.** საწურბლიელს. ჩვენ ძლიერ დაგვაინტერესა თქვენმა ცნობამ „საფრენი“ მანქანის შესახებ. საინტერესოა ვიცოდეთ სახელი და გვარი იმ აზნაურისა, რომელმაც ეს მანქანა მოიგონა. მართალია მაღლიდან დაბლა ჩამოფრენას, თუ სიმაღლე ორ საჟენს არ აღემატება, ჩამოხტომა ჰქვია, მაგრამ მაინც დიდი საქმეა. რედაქცია მხოლოდ იმაზე გმდურის თქვენ, რომ ასეთ საინტერესო საგანზედაც ვერ შესძელით პროზით წერა. თქვენ სწორეთ დიდი პოეტი იქნებით, მიუხედავათ იმისა, რომ, პირველ ლექსს 68 წლის კაცი სწერთ.

**მაკრ.**—დედა, ღმერთო მომკალი და ქია. ბატონო, მოგეცადა ერცახე. რაცხა ზაკუსკას მოვახაზირებდი. ჩემი სიკვდილი და ქია ახლა. ამისანა უცხო სტუმარი ასე უპატივცემულოთ რაფერ უნდა გუუშვათ.

**ბესარ.**—არა დაია, რატომ იკადრებ. ერთი აი საქმე გაკეთდეს და პატივის ცემა მერე მე მკითხე (მიდის).

**ეფრ.**—(მიაძახებს) ბესარიონ, ერთ წუთში თუ არ გეზარება. რა მინდოდა მეთქვა. რაცხა ბიჭმა საახალუხე დამაბარა და რა უყო არ ვიცი. შენი ცოდვა მომცეს ღმერთმა თუ ეს ორი წელიწადია კაპეიკი ეშონოს ჩემ ხელს. ქე მიგდია შინ, აი ალმასივით კაცი შიშველი. გარეთ ვერ გამოსულა სირცხვილით. ახლა ღვთის და შენი შეწევნით, რაცხა ორ კაპეიკს ქე ვშოულობ, მარა ხომ იცი ოჯახის ამბავი. იქნება გამოატანო ბიჭს ერთი საახალუხე და ორ დღეში ფული მექნება ქე მოგიტან. კი მენდობი მგონი. შენი თუმნობით მქონია მარა კი გადამიხდია.

**ბესარ.**—ძაან კარგი. გამოგზავნე და გამოარჩიოს. ფული არაფერია კაცო. მაგისანაობაზე თუ არ გუუწყვეთ ხელი ერთმანეთს აბა რაღაი. კარგი ძალიან. მოვიდეს როცა უნდა წამეიღოს. (მიდის. წაილაპარაკებს) ღმერთი შენ გიშველის შენგან რამე აიღებოდეს. ერთხელ ვენდევი და სუდებნი პრისთავით ძლივს ავიღე.

**ეფრემა**—(შემოვა სახლში) ასეა. ჩამივარდა ხომ ხელში. ორი თუმანი მემართა მაგის და სანამ არ გადამიხთია არ მომისვენია. მარა ეხლა მგონი ორმოცსაც კი მომცემს. ეტყობა ბოქაულს ყველაფერი დაუჯერებია რაც უთხარი.

**მათე**—შენ ჭკვიანათ იყავი. არ აჩქარდე. თუ კარგათ წავიყვანთ საქმეს ერცახეს სულს მოვითქვამთ. ღმერთმა აკურთხა მისი ოჯახი, ვინც მაგი გამოგზავნა აქ. (ისმის ძაღლის ყეფა).

**ბაცილა.**

(შემდეგი იქნება)

## ჯაჭვი ქალაქის თვით მმართველობაში.

(ოზურგეთისთვის).

გაზეთებმა გვამცნეს ოზურგეთიდან ამ დღეებში სადაო კითხვა. ქალაქის მამებს „უპრავის“ სხდომა ჰქონიათ. თავმჯდომარეობს თავის თანაშემწე პლატონ ბერიძე—ჯაჭვი თავს წაუღია. დაისვა კითხვა: შეუძლია თუ არა პლატონს უჯაჭვოთ გასწიოს თავმცდომარეობა—სასამართლოს მოხელე ბ. თოთიბაძე ამტკიცებს რომ შეუძლია. პლატონის უფრო კარგი ნაცნობი (და ჯაჭვ-ბორკილის მოტრფიალე) დეკანოზი დავითი ამტკიცებს რომ უჯაჭვოთ ძნელი სანდოა, რადგან შეიძლება ზევიდან უკანონოთ ჩასთვალონ. კრებამ დიდი კამათის შემდეგ უჯაჭვო თავმჯდომარეს მაინც ნდობა გამოუცხადა რის შედეგს კრებაში მალე „ასვარიე დასვარიე» მოხთა. მივმართავთ ჩვენს იურისტებს მეტადრე საქალაქო დებულებათა მცოდნეებს, განმარტონ ეს კითხვა—შეიძლება უჯაჭვო თავმჯდომარე თუ არა?

ხაპი!?

იუმორისტულ-პოპულიარული, ყოველ-კვირული, სურათებიანი ჟურნალი

# „მათრახი და სალამური“

წელიწადში ღირს 5 მან., ნახევარი წლით 2 მან. 50 კ., ერთი თვით—50 კაპ.

ვინც წლის ბოლომდის გამოიწერს და ღირებულ ფასს (2—50) სრულად გამოუგზავნის რედაქციას, გაეგზავნება აგრეთვე უკვე გამოსული „სალამურის“ ალმანახები 7 ნომერი.

მიიღება დასაბეჭდი განცხადებები: პირველ გვერდზე სტრიქონი 20 კ., უკანასკნელზე—10 კ.

დროებითი რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Типографія Т-ва «Шрома» Теофилу Болквадзе.

# „ფაუსტი“

გიოტესი

თარგმანი **პ. მირიანიშვილისა**

ფასი 1 მან. 25 კ.

ვინც ხუთ ცალზე მეტს დაიკვეთს წიგნი დაუთმობა თითო მანეთად. გამოწერა შეიძლება ნადებითაც ხოლო გასაგზავნი დაემატება თითო წიგნზე ორი შაური.

ვისაც სურს ეს წიგნი შეიძინოს მიჰმართოს „შრომის“ სტამბაში ვასო ბოლქვაძეს.

## იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. . . . 1 მ. 3[illegible]

2) „ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი . . . . . . . . . . 2 —

3) „ალმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი,—სულ 10 ნომერი ერთად შეკრული . —

4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელისა . . . . . . —

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, თეოფილე ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.






## კვინწარ კვინწარის ძე კვინწარაძეს.

ქ. ბათუმი, ზღვისპირის ქუჩა, № 384.

შენს საყვედურებს თავი ვერ გავართვი ძვირფასო კვინწარ! არ ვიცი შენ რა აზრისა ხარ ჩემო კვინწარო, მაგრამ უმეტესობა იმ აზრისაა, თითქო სახუმარო, ანუ როგორც იტყვიან იუმორისტული გაზეთის გამოცემა „პუსტიაკი“ საქმე იყოს.

ეს კი დიდი, ძლიერ დიდი შეცდომაა. ეს ისეთი შეცდომაა, როგორც მაგალითად გაზ. „ივერიის“ იეზუიტებთან სამართლიანობაზე კამათი.

საქმე იმაშია, ძმაო ჩემო, რომ ჩვენი მწერლები ფრიად და ფრიად სერიოზული ხალხნი არიან. იმათ ისე არ ეხერხებათ საჩვენგაზეთო მწერლობა, როგორც ტიტე ართმელაძეს სალი მსჯელობა და მოკლე სიტყვაობა, როგორც გიორგი გვაზავას ოცნებას „ქოშების“ გარეშე აღმაფრენა, ივანე როსტომაშვილს უკასოთ არსებობა... ეს რასაკვირველია იმას არ ნიშნავს, თითქო სურვილიც არ ჰქონდეთ სახუმარო მიდრეკილებისა. პირიქით... სურვილი იმზომ დიდია, როგორც უმეცრება იმავ ტიტე ართმელაძისა, როგორც ენა მლიქვნელობა კ. თუმანიშვილისა და ქარაფშუტობა გვაზავას პოეზიისა. დიახ, სურვილები ერთობ დიდია, მაგრამ მარტო სურვილი რო კმაროდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა...

ახლა კი, ძვირფასო ჩემო კვინწარო, ძაღლებმა ლამის აგვიკლონ ყეფითა და არა თუ მარტო შორიდან ყეფას სჯერდებიან, ზოგიერთები კიდევაც იკბინებიან, თუმცა ბებრებს კბილები აღარ უჭრისთ. სასაცილოა, როცა უკბილო ძაღლი ძვალს ებღაუჭება; დილიდან საღამომდე პირში აგორებს, დორბლით ასველებს და გატეხას კი ვერ ახერხებს! როცა ასეთ სურათსა ვხედავ, მაშინვე გაზ. „ივერიის“ პოლემიკა გამახსენდება ხოლმე. საწყალს რა დიდი სურვილი აქვს „ზომიერობისა“, მაგრამ თავისი ყბების „ძლიერება“ ლამის უზომობას შეალიოს.

ასეა თუ ისე ჩვენ ისევ გავაცოცხლეთ ჩვენი გაზეთი და საჭიროა შენც, სხვა ეშმაკებთან ერთად გაშალო შენი კარაბადინი და მოგვახსენო ხოლმე „ამა ქვეყნის ამაოება“. გთხოვ გასცე განკარგულება შენს სამრევლოში, რომ ყოველი ეშმაკი თავის ალაგას იდგეს... იდგე ფხიზლათ და ყურ მახვილათ, რომ ადგილობრივ ცხოვრების არც ერთი მაჯის დაკვრა არ გამოეპაროს. ჩვენთვის საჭიროა ყოველგვარი მასალა: ახალ-საამბო; სადეპეშო; შეკითხვა; ანდაზა; გამოცანა; კითხვა-პასუხი და სხვა მრავალი რამ. ეცადეთ შეაგნებინოთ თქვენს თანამშრომლებს, რომ:

„გრძელი სიტყვა მოკლეთ ითქმის შაირია ამით კარგი“.

შენმა წერილმა შესახებ ბლიკვაძის გუდის დაძველებისა ერთობ დაგვაღონა. ახლა ძლიერ საჭიროა მისი სტვირის გაგონება. ჩვენ აღარ ვიცოდით რა გვექნა, მაგრამ კურთხეულმა ჩვენმა „ისტორიკოსმა“ დიდი იმედები გაგვიღვიძა. მართლაც ბევრი ვეძიეთ და ვერსად ვერ ვიშოვეთ საჭირო თხის ტყავი. ბოლოს „ისტორიკოსს“ მივმართეთ. იმან ჩაიცინა და გვითხრა: ნუ თუ ესეც ძნელი საქმეა. დამაცადეთ პატარა; ახლო მომავალში ტიტე ართმელაძეს უნდა გავაძრო ტყავი „ივერიაში“ ოხუნჯობისათვის და თუ იკადრებს ბლიკვაძეს ის გაუგზავნოთ გუდათაო“.

მე ძლიერ მომეწონა ეს აზრი, მაგრამ არ ვიცი, ბლიკვაძე რას იტყვის, მართლა იკადრებს ამ საგუდე ტყავს თუ არა.

მშვიდობით. ველი შენს პასუხს.

შენი **ეშმაკი.**

ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“ რუსის ქ. № 3. რედაქტორ გამომცემელი **ე. ტურობელიძე**